

შავ ზღვაში გავრცელებული ზღვის ღორის (*Phocoena phocoena relicta*) რიცხოვნობის და ჯგუფების სიდიდის ცვლილება სეზონების მიხედვით საქართველოს აკვატორიაში

ნატია ბასილაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
(მიმართულება: ეკოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია კოპალიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2014

ანოტაცია

2010-2013 წლებში შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში ზღვის ღორზე (*Phocoena phocoena relicta*) დაკვირვებამ და ჩვენს მიერ მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ ჯგუფის სიდიდე იცვლება სეზონების მიხედვით: მაქსიმალური სიდიდე აღინიშნება ზამთარსა და გაზაფხულზე-იანვრიდან აპრილის შუა რიცხვებამდე. ცნობილია, რომ ზღვის ღორები მიგრირებენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში აზოვის ზღვიდან და შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიდან შემოდგომის ბოლოს გაზაფხულის შუა პერიოდამდე. შავ ზღვაში მობინადრე ზღვის ღორებისთვის საქართველოს ტერიტორიული წყლები გამოსაზამთრებელ ტერიტორიას წარმოადგენს და თითქმის მთელი პოპულაცია სწორედ აქ იკრიბება: დეკემბერ-იანვარის დასაწყისიდან, ზოგჯერ უკვე ნოემბრის ბოლოდან, გააჩნია კლიმატურ პირობებს. ზღვის ღორების მიგრაცია ძირითადად განპირობებულია მათი პრიორიტეტული მსხვერპლის, ქაფშიას მოძრაობით, აზოვის ზღვიდან კი ყინული საფარის წარმოქმნით. სხვადასხვა სეზონზე აღებული მონაცემების დამუშავებამ პროგრამა DISTANCE 6.0 გამოყენებით აჩვენა რომ ზღვის ღორების ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე გაზაფხულის დასაწყისში ფიქსირდება. ზამთრის ბოლო-ზაფხულის დასაწყისი ხელსაყრელი პერიოდია ზღვის ღორების აღრიცხვის ჩასატარებლად, რადგან თითქმის მთელი შავი ზღვიდან მათი თავმოყრის გამო საქართველოს აკვატორიაში მონაცემები ვარგისი იქნება *Phocoena phocoena relicta*-ს მთელი პოპულაციის შესაფასებლად და ტენდენციების გამოსავლენად.

საკვანძო სიტყვები: *Phocoena phocoena relicta*, რიცხოვნობა, სიმჭიდროვე, სეზონი, მიგრაცია.

შინაარსი

შესავალი -----	3
სახეობის აღწერა -----	3-6
1. ფიზიკური დახასიათება -----	3-4
2. გეოგრაფიული გავრცელება -----	4-5
3. ჰაბიტატი -----	5
4. საკვები -----	5
5. გამრავლება -----	5
6. ქცევა -----	5-6
7. კონსერვაციული სტატუსი -----	6
ქვესახეობის აღწერა -----	6-10
1. გავრცელება -----	8-9
2. პოპულაციის შეფასება -----	9-10
მასალა და მეთოდები -----	10-11
მიღებული შედეგები და მათი განხილვა -----	12-21
დასკვნა -----	22-23
ციტირებული ლიტერატურა -----	23-27
დამატება -----	28-31